

საქართველოს წყლის ინფრასტრუქტურა – პრობლემები და პერსპექტივა

თბილისი, 2007



მწკაწკა
საქართველოს წყლის
აზროვნების ცენტრი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. სასმელი წყლის ხარისხი – მსოფლიოს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა	2
2. წყლის მართვა საქართველოში – საკანონმდებლო ბაზა და საქართველოს ვალდებულებები	4
3. საქართველოს წყალმომარაგების სისტემის მოკლე აღწერა	8
4. წყლის გამწვანდი ნაგებობების პრობლემები	10
5. წყალმომარაგების სისტემები და წყლის ხარისხი	11
6. მომხმარებელთა უფლებები და წყლის ტარიფი	13
7. წყლის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების აღწერა საქართველოში	14
7.1 ქობულეთის წყალმომარაგების პროექტი	14
7.2 ქუთაისის წყალმომარაგების პროექტი	15
7.3 ფოთის წყალმომარაგების პროექტი	15
7.4 თბილისის წყლის მიწოდების პროექტი	15
7.4.1. გამჭირვალობა და საზოგადოების მონაწილეობა	16
7.4.2. გამრისხველიანებასთან დაკავშირებული პრობლემები	16
7.4.3. რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემები	17
7.4.4. სამართლებრივი პრობლემები	17
8. რეკომენდაციები	18
ბიბლიოგრაფია	19

1. სასმელი წყლის ხარისხი – მსოფლიოს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა

წყალი გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რომელიც აუცილებელია ყველა ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის ადამიანის ცხოველმყოფელობისათვის. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 70%-ით დამოკიდებულია წყლის ხარისხზე. საკვების გარეშე ადამიანს შეუძლია გაძლოს ერთ თვეზე მეტ ხანს მაშინ, როდესაც უწყლოდ – მხოლოდ რამდენიმე დღე.

სუფთა წყალი წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ მამოძრავებელ ძალას. ის აფართოებს ადამიანის შესაძლებლობებს, ეხმარება ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების ეფექტური ციკლის შექმნაში. უსაფრთხო სასმელი წყლისადმი შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ადამიანის არსებობის ფუნდამენტური და ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომისიის მიერ დეკლარირებული „წყალზე ადამიანის უფლება“ მოწოდებულია თითოეული ადამიანის, უსაფრთხო და ხარისხიანი, მათ შორის, სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად. ელემენტარული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად თითოეული ადამიანის დღე-ღამეში არანაკლებ 20 ლიტრი სუფთა წყლით უზრუნველყოფა წარმოადგენს ადამიანის წყალზე უფლების დემონსტრირებას და მთავრობების მინიმალურ ამოცანას. ეს ვალდებულება გამოხატავს უნივერსალურ ღირებულებასა და მთავრობების პასუხისმგებლობას მოსახლეობის წინაშე.

ცნობილია, რომ ქალაქებსა და სხვა მსხვილ დასახლებულ ადგილებში მოსახლეობის დიდი რაოდენობით კონცენტრაცია, მრეწველობის, სატრანსპორტო საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო, ენერჯეტიკული და სხვა ანთროპოგენული ზემოქმედების გამო, ადგილი აქვს წყლის რესურსების, განსაკუთრებით კი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების მქონე წყალმომარაგების წყაროების ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით ხარისხობრივი მდგომარეობის ცვლილებას.

ევროპის მოსახლეობა ერთ დღეში დაახლოებით 400 მლნ. ჰექტარ ონკანის წყალს სვამს. ბავშვი განვითარებულ ქვეყანაში 30-50-ჯერ უფრო მეტ წყალს მოიხმარს, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში. მსოფლიოში 2,400 მლნ. ადამიანი საჭიროებს სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობის წყალს, ხოლო 1,200 მლნ. ადამიანი საჭიროებს უსაფრთხო წყლის რესურსებს.

სასმელად უვარგისი წყლის მოხმარების გამო მსოფლიოში ყოველწლიურად აღირიცხება 3,4 მლნ. სიკვდილის შემთხვევა (უმეტესად ბავშვებში), ხოლო ათობით მილიონი ადამიანის მიერ, მოხმარებული წყალი არ შეესაბამება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების, საერთაშორისო ან/და ნაციონალურ ნორმატიულ მოთხოვნებს.

მარტო ევროპის რეგიონის 120 მლნ. მაცხოვრებელს არ გააჩნია მუდმივად გარანტირებული ხარისხის სასმელი წყალი, რის გამოც 1986-1996 წლებში ევროპაში დაფიქსირდა წყლისმიერი ნაწლავური დაავადების 710 შემთხვევა, რომლის დროსაც 150 000 ადამიანი დაავადდა, მათ შორის დიდ ბრიტანეთში დადასტურებული წყლისმიერი ეპიდემიების 500 შემთხვევის დროს – 5000 ადამიანი. შესაბამისად, მოსახლეობის საკმარისი რაოდენობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, ხოლო სასმელი წყლის ბაქტერიოლოგიური სისუფთავისათვის და წყალთან დაკავშირებული ინფექციების წინააღმდეგ ბრძოლა კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია განვითარებადი ქვეყნებისათვის.

წყლის უსაფრთხოების პრობლემისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ირღვევა სოციალური თანასწორობისა და სამოქალაქო სამართლიანობის ისეთი ოთხი ფუნდამენტური პრინციპი, როგორებიცაა:

სამოქალაქო თანასწორობა – თითოეული ადამიანი აღჭურვილია თანასწორი სამოქალაქო, პოლიტიკური და სამოგადოებრივი უფლებებით, ამ უფლებების ეფექტური რეალიზაციის საშუალებების ჩათვლით. წყლის ნაკლებობა კი არღვევს ამ უფლებებს. თუ ქალი ხშირად ავადდება წყლით გამოწვეული დაავადებებით, მას სამოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ძალზე მცირე შესაძლებლობა ეძლევა;

სოციალური მინიმუმი - რესურსები, მათ შორის წყლის რესურსები ყველა მოქალაქისათვის უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი თავისი ყოველდღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ღირსეული ცხოვრებისათვის. სუფთა წყალი (მინიმუმ 20 ლიტრი დღე-ღამეში) სოციალური მინიმუმის ნაწილია;

შესაძლებლობათა თანასწორობა - სოციალური სამართლიანობის ძირითადი ფაქტორია, რომელიც ირღვევა წყლის უსაფრთხოების არარსებობით. ადამიანები თვლიან, რომ განათლების გარეშე შეუძლებელია შესაძლებლობათა თანასწორობა. ასე მაგალითად: ბავშვები, რომლებიც სუფთა წყლის ნაკლებობით გამოწვეული მუდმივი ავადმყოფობის გამო არ დადიან სკოლებში, არა აქვთ საშუალება ისარგებლონ განათლების უფლებით;

განაწილების სამართლიანობა – ყველა სამოგადოება ადგენს უთანასწორობის დასაშვებ საზღვრებს. ყოფაცხოვრებაში სუფთა ან/და ტექნიკური წყლისადმი ხელმისაწვდომობის დიდი უთანასწორობა არ შეესაბამება სამართლიანი განაწილების კრიტერიუმებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს დაკავშირებულია ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალ დონესთან და სიღარიბესთან.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა ყველა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემაა, რომლის გაუგარებლობა გლობალურად კაცობრიობის და კონკრეტულად ადამიანის განვითარების მრავალ უარყოფით შედეგსა და მიანში ვლინდება. ადამიანის განვითარებისათვის მიყენებული მიანის ნუსხა მოიცავს:

- მსოფლიოში ბავშვთა სიკვდილიანობის მეორე მიზეზად დაბინძურებული წყლის აღიარება;
- ყოველწლიურად მსოფლიოში აღირიცხება დიარეით გამოწვეული ბავშვთა სიკვდილიანობის 1,8 მლნ შემთხვევა, ანუ 4900 შემთხვევა ყოველდღიურად, რაც უტოლდება ნიუ-იორკისა და ლონდონის 5 წლამდე ასაკის მოსახლეობის ერთად აღებულ რაოდენობას;
- 2004 წელს დიარეული დაავადებით დაიღუპა ექვსჯერ მეტი, ვიდრე გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიარაღებული კონფლიქტების დროს იღუპებოდა ყოველდღიურად;
- წყლისმიერი დაავადებების გამო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყოველწლიურად იკარგება 443 მლნ. სასწავლო დღე;
- განვითარებადი ქვეყნების თითქმის ნახევარ მოსახლეობას აწუხებს წყლის ნაკლებობით გამოწვეული დაავადებები;
- მრავალი მილიონი ადამიანის სასიცოცხლო ციკლის თანმხლები წყლისმიერი დაავადებების გამო ბავშვობაში განათლების მიღების შესაძლებლობების დაკარგვის ან/და შემლუღვის გამო მრდასრულ ასაკში ადამიანები მიჰყავს სიღარიბისაკენ;
- სასმელი წყლის ხარისხისა და დეფიციტის გამო ადამიანის განვითარებისათვის მიყენებული მიანის ამ ნუსხას, შესაძლებელია, დაემატოს ეკონომიკური დანაკარგები, რომლებიც არ ექვემდებარება განზომილებას, თუმცა 2006 წელს გაეროს მხარდაჭერით ჩატარებული კვლევების თანახმად ფიქსირდება ეკონომიკური დანახარჯებით ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, შრომის ნაყოფიერების დანაკარგებში და ადამიანის შრომითი საქმიანობის დაქვეითებაში ან/და შეუძლებლობაში.

მსოფლიოში დღითიდღე მაგვლობს სასმელი წყლის მიწოდების საშუალებები, თუმცა გაეროს მონაცემებით, 2015 წლისათვის ჯერ კიდევ არ იქნება გადაწყვეტილი სუფთა წყლის მიწოდების პრობლემა და დაბინძურებული წყაროების წყალს 800 მილიონი ადამიანი მოიხმარს. ყოველწლიურად მსოფლიოში 2 მლნ ადამიანი (მათ შორის უმრავლესობა ბავშვებია) იღუპება და კიდევ მილიონობით ადამიანი ავადდება წყლისმიერად გადაცემადი დაავადებებით.

სწორედ ამიტომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გლობალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა „საერთაშორისო ათწლეული „წყალი სიცოცხლისათვის“ 2005-2015“, რომლის ძირითადი მიზანი სასმელი წყლისადმი ხელმისაწვდომობისა და სანიტარიის გაფართოების აქტივიზაციით დაავადებებთან ბრძოლა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯანსაღი სასიცოცხლო გარემოს შექმნა და მსოფლიოში მოგადი კეთილდღეობის ამაღლება არის.

2. წყლის მართვა საქართველოში – საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო ვალდებულებები

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლის რესურსების მართვის რეგულირების უზრუნველყოფისათვის საქართველოში შექმნილია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შედგება კანონების, კანონქვემდებარე აქტების, დებულებების, ბრძანებების და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებისაგან. მათგან წყლის რესურსების მართვისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს კანონი “წყლის შესახებ” (ძალაშია 1997 წლიდან), საქართველოს კანონი “გარემოს დაცვის შესახებ” (ძალაშია 1996 წლიდან) და საქართველოს “კანონი წიაღის შესახებ” (ძალაშია 1996 წლიდან).

“წყლის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას გარემოს (მათ შორის წყლის რესურსების) დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების სფეროში.

საქართველოში დღეისათვის წყლის რესურსების მართვა ხორციელდება ადმინისტრაციული პრინციპის საფუძველზე. წყლის მართვის სფეროში თავიანთი კომპეტენციის მიხედვით ჩართული სხვა სახელმწიფო ორგანოები არიან: ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აგრეთვე თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

1997 წლის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის შესახებ და ახალი ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ წყალმომარაგებისა და სანიტარული სამსახურის ექსკლუზიურ პასუხისმგებლობას ანიჭებს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს. ადგილობრივ უფლებამოსილ პირებს მინიჭებული აქვთ მუნიციპალურ სერვისებზე გარიფის დაწესების მკაფიო უფლებამოსილება, წყლის და დასუფთავების ჩათვლით, ასევე უფლებამოსილნი არიან დაადგინონ დარიცხვის, საფასურის ამოღების და ადმინისტრირების წესები. თუმცა ამ სექტორში არსებობს მრავალი გადასაჭრელი წინააღმდეგობანი:

ა) უპირველეს ყოვლისა, ნაკლებად ნათელია პასუხისმგებლობის განაწილება ცენტრალური სამთავრობო უწყებების ადგილობრივი განყოფილებებს, ან სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული რაიონული მნიშვნელობის საწარმოებსა და კომუნალური სამსახურის ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილ პირთა შორის. კერძოდ, მაშინ როცა რაიონებში საოპერაციო

საქმიანობა და მენეჯმენტი მუნიციპალური სამსახურის დეპარტამენტების კონტროლის ქვეშაა, წყალგაყვანილობის მიწების სისტემის ყველა საოპერაციო და საექსპლუატაციო საქმიანობა ადგილობრივი თვითმმართველობას ექვემდებარება და კონტროლდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

ბ) მეორეც, წყლის კომპანიების უმეგესობას, რომელთაც ევალებათ წყალმომარაგება და სანიტარული მომსახურეობა, არ შესწევთ ძალა შეასრულონ მათზე დაკისრებული როლი და პასუხისმგებლობა. სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ წყალმომარაგებისა და სანიტარული მომსახურეობის დარგში ადგილი აქვს არაკომერციულ მიდგომას, მენეჯერიალური, სააღრიცხვო და ტექნიკური რესურსების და გამოცდილების ნაკლებობას, საოპერაციო და სისტემური მონაცემების სიმცირეს, სტანდარტებისა და მონიტორინგის შესაძლებლობის შემლუღულობას.

ც) მესამე, საბჭოთა წყობილების დროს სოფლის მოსახლეობა თავისუფალი იყო გადასახადებისაგან წყალზე და წყლის საფასურის გადახდის კულტურის ნაკლებობა განაპირობებს შემოსავლების ძალიან დაბალ დონეს. ცოცხალი წინათ ჩატარებულმა ერთმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ წყალზე გარიფების იმ დონემდე გაზრდა, რომ დაფარულ იყოს თვითღირებულების ხარჯები, გამოიწვევს იმას, რომ მოსახლეობის მხოლოდ 15-20% შეძლებს წყლის საფასურის გადახდას, და აუცილებელია სპეციალური გამიმზული დახმარების გაწევა, რომ უკიდურესად გაჭირვებულმა ფენამ გააგრძელოს ძირითადი მომსახურეობის მიღება.

დადგენილია, რომ ევროპის ქვეყნებში სასმელი წყლის მენეჯმენტისა და სანიტარიის გაუმჯობესების პირობებში, შესაძლებელია დიარეის შემთხვევების 26%-ით, სიკვდილიანობის - 65%-ით შემცირება, ხოლო ყოველწლიურად სასმელი წყლით გამოწვეული 30 მლნ.-ზე მეტი დაავადების შემთხვევის თავიდან აცილება.

განვითარებადი ქვეყნების დაახლოებით 1,1 მლრდ. ადამიანს არა აქვს წყლისადმი ადექვატური ხელმისაწვდომობა და სუფთა წყლით მინიმალური (20 ლიტრი დღე-ღამეში) უზრუნველყოფა, რის გამოც დღე-ღამეში მოიხმარენ მხოლოდ 5 ლიტრამდე წყალს, რაც საშუალოდ დღიური ნორმის 1/10-ს შეადგენს მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნების თითოეული მოსახლე დღე-ღამეში საშუალოდ 200, ხოლო აშშ-ისა 400 ლიტრ წყალს მოიხმარს. დაბინძურებული წყლის გამოყენების გამო, ყოველწლიურად ადგილი აქვს 1,8 მლნ ბავშვის სიკვდილს, გამოწვეულს დიარეით, რაც გაცილებით აღემატება ძალადობით გამოწვეული სიკვდილიანობის მონაცემებს.

მოსახლეობის ეპიდემიურად უსაფრთხო სასმელი წყლით მომარაგების პრობლემის გლობალურად გადაჭრის მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ძალისხმევით არაერთი დოკუმენტი იქნა მიღებული, მათ შორის 1999 წლის ლონდონის მესამე ევროპულ კონფერენციაზე გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებმა მიიღეს ოქმი „წყალი და ჯანმრთელობა“, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტს „ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მდგრადი განვითარებისათვის და საფუძვლიან წყლის რესურსების სფეროში პარტნიორობისა და კონკრეტული ღონისძიებების გაგარებისა ქალაქების წყალმომარაგებისა და სანიტარიის გაუმჯობესებისათვის, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის განხორციელებისა გრანსსასაზღვრო, ნაციონალურ და რეგიონულ დონეებზე“.

2000 წლის სექტემბერში გაეროს 189 წევრმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც, მიიღო ათასწლეულის განვითარების მიზნები და დაამტკიცა მუსტი, დროში შემლუღული ამოცანები, რომელთა მიღწევა უზრუნველყოფს განვითარებასა და პროგრესს.

ათასწლეულის განვითარების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც თავის თავში მოიცავს შემდეგს: 2015 წლისთვის აუცილებელია ორჯერ შემცირდეს იმ მოსახლეობის რიცხვი, რომელსაც არ აქვს უსაფრთხო სასმელი წყლის მიღების მუდმივი საშუალება და არ გააჩნია “საბაზისო კანალიზაცია”. იმის მიუხედავად, რომ

ათასწლეულის განვითარების გეგმა (მათ შორის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების შესახებ) ჩამოყალიბდა 2000 წელს, საბაზო წლად განიხილება 1990.

საქართველოში ათასწლეულის პროგრამის მე-7-ე პუნქტის მისაღწევად, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს:

(ა) მთლიანი განსახილველი პერიოდის განმავლობაში სასმელი წყლის მიწოდება ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით იმ მომხმარებლებისთვის, რომლებისთვისაც უსაფრთხო სასმელი წყალი ხელმისაწვდომია;

(ბ) უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა როგორც მინიმუმ მომხმარებელთა იმ 50%-ისათვის, რომლებისთვისაც სასმელი წყალი ხელმიუწვდომელია.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია წყალკანალისა და წყალგაყვანილობის ქსელების ძირითადი ნაგებობების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია, რათა მოხდეს გამგარუნარიანობის იმ ღონემდე მიყვანა, რომელიც იძლევა საშუალებას იმ მოცულობით იქნეს მიწოდებული წყალი მოსახლეობისთვის, რომელიც აუცილებელია ფიზიოლოგიური და ჰიგიენური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

საქართველომ, აღიარა რა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პრიორიტეტულობა, უკანასკნელ წლებში ქვეყნის მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის სფეროში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება მიიღო, მათ შორის:

- 1998 წლის 23 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №531 ბრძანებულება „საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის რეფორმის, მისი კონცეფციისა და წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების სანიტარიულ-გექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“;
- „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა“ (2000 წ.);
- „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების 2000-2009 წლების სტრატეგიული გეგმა“ (2000 წ.);
- 1999 წელს დანიის გარემოსა და ენერჯეტიკის სამინისტროს მხარდაჭერით ფინანსური სტრატეგიის შემუშავებისათვის ჩატარებული „მუნიციპალური წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კომუნალური სისტემების“ გამოკვლევების საფუძველზე თბილისისათვის შემუშავდა „წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის სცენარი“;
- შემუშავდა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2000 წელს (განკარგულება №324) დამტკიცდა „საქართველოს გარემოსდაცვითი მოქმედებათა პროგრამა“;
- შემუშავდა და ქვეყნის მასშტაბით დაინერგა სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმირების ერთიანი სახელმწიფო სისტემა, რითაც საფუძველი ჩაეყარა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმირებისა და შესაბამისი ეროვნული ნორმატიული დოკუმენტების (სანიტარიულ-ჰიგიენური წესები და ნორმები, ჰიგიენური ნორმატივები) შემუშავების ერთიან წესს, დამტკიცდა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული დოკუმენტების შედგენის სახელმძღვანელო (2000 წ.), ხოლო 2001 წლიდან დაიწყო ეროვნული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული დოკუმენტების ოფიციალური გამოცემა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში;
- 2001 წელს გამოიცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/ნ ბრძანება, რომელიც მოიცავს სასმელი წყლის ხარისხის მარეგულირებელ ჰიგიენურ სტანდარტებს;

- 2002-2003 წლებში დანიის გარემოსა და ენერჯეტიკის სამინისტროსთან ერთად „გრანსასაბლერო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვის „წყალი და ჯანმრთელობა“ ოქმის შესაბამისად, შემუშავდა „სასმელი წყლის ხარისხისა და მომარაგების სტრატეგია“;
- 2002 წლის 9 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცა №1089 განკარგულება „საქართველოს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის შესახებ“;
- 1999 წლიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები ყოველწლიურად ამზადებენ ეროვნულ მოხსენებებს „საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“ და „გარემოს მდგომარეობის შესახებ“, რომლებშიც ფართოდ არის ასახული მოსახლეობის უსაფრთხო სასმელი წყალმომარაგების პრობლემები;
- შემუშავდა და საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 24 მარტის №324 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს გარემოს ჰიგიენის სამოქმედო ეროვნული გეგმა „გარემო და ჯანმრთელობა“ (NEHAP), რომელშიც განხილულია გარემოს და ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის ასპექტები.

საქართველომ, როგორც ათასწლეულის დეკლარაციის ხელმოწერმა მხარემ, აიღო ვალდებულება ათასწლეულის განვითარების მიზნების ასახვის უზრუნველყოფისა ეროვნული განვითარების სტრატეგიებში. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა 1999 წლის ლონდონის მესამე ევროპული კონფერენციის ოქმის „წყალი და ჯანმრთელობა“ საქართველოში განხორციელების მდგომარეობის შესწავლის მასალებში.

ამ დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის სასმელი წყლის ხარისხის და მომარაგების სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს 2035 წლისათვის ყველა ოჯახის უზრუნველყოფა ხარისხიანი სასმელი წყლით, ხუთი პრიორიტეტული ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და რუსთავი) სათანადო ხარისხის წყლით მომარაგების უზრუნველყოფა 2006 წლისთვის, კარგი ხარისხის წყლით 24 საათიანი მომარაგებით - 2015 წლისათვის, დანარჩენი ქალაქებისა და სოფლების ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემების სათანადო ხარისხის წყლით მომარაგება – 2010 წლისათვის, ხოლო კარგი ხარისხის წყლით 24 საათიანი მომარაგება - 2025 წლისათვის.

ათასწლეულის გამოწვევის გზაზე არსებული ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ინვესტირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების სიმცირესთან და მოსახლეობის ღარიბი ფენისათვის წყლის გარიფის შესაძლო მიუწვდომლობასთან. აღნიშნული პრობლემების დასაძლევად აუცილებელია, რომ ფინანსური რესურსები მოძიებულ იქნეს პრიორიტეტული, ქმედითი ეროვნული პროგრამების სახით წყალსადენისა და საკანალიზაციო მეურნეობისათვის და ამასთან გათვალისწინებულ იქნეს წყლის გარიფის ხელმისაწვდომობა ქვეყნის მოსახლეობის ღარიბი ფენისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია წყალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც დღეს საქართველოში მეტად პრობლემურია.

3. საქართველოს წყალმომარაგების სისტემის მოკლე აღწერა

საქართველო წყლის რესურსებით მდიდარ სახელმწიფოთა რიგს განეკუთვნება, რომლის გერიგორიის დაახლოებით 11% წყალსაგვეებს უკავია. ქვეყნის გერიგორიაზე აღრიცხულია 860 ტბა და რემერვუარი (საერთო ფართობით 170 კვ.კმ) და 26,000 მდინარე (საერთო სიგრძით 59000 კილომეტრი). თუმცა აღსანიშნავია, ისიც რომ წყლის რესურსები საკმაოდ არათანაბრადაა გადანაწილებული ქვეყნის გერიგორიაზე. დასავლეთ საქართველოში წყლის რესურსების დაახლოებით 78%-ია კონცენტრირებული, მაშინ როცა აღმოსავლეთში მხოლოდ 22%.

საქართველოს წყლით უზრუნველყოფა საშუალო მაჩვენებელზეა და უსაფრთხო წყლის მომარაგების უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

დღესდღეისობით ცენტრალიზებული კომუნალური წყალსადენები არსებობს ყველა 85 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში 156 სათავე ნაგებობით. ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო-სასმელ წყალმომარაგების წყაროებად ძირითადად გამოიყენება მედაპირული და მიწისქვეშა წყლები. აღმოსავლეთ საქართველოს წყლის მარაგი 10 მლრდ.მ³-ს შეადგენს და ძირითადად მიწისქვეშა, მაღალმინერალიზირებული და მიკროელემენტების მაღალი შემცველობის მქონე წყლის რესურსებით არის წარმოდგენილი. აღნიშნული აუარესებს წყლის ხარისხს და ამცირებს მისი სასმელად გამოყენების შესაძლებლობას. დასავლეთ საქართველოს წყლის მარაგი 50 მლრდ. მ³-ს შეადგენს და წყალმომარაგების წყაროებად ძირითადად მედაპირული წყლები გამოიყენება.

ქვეყნის მოსახლეობა მოიხმარს როგორც დაბალი (50-100მგ/ლ), ოპტიმალური (300-500მგ/ლ), ისე მაღალი (1000-1500 მგ/ლ-ზე მეტი) მინერალიზაციის წყლებს, ხოლო მთელი რიგი წყალსადენების წყლებში აღინიშნება ჰალოგენჩანაცვლებული ნახშირწყალბადების, კერძოდ, კი, ქლოროფორმის მაღალი შემცველობა, რაც ხშირ შემთხვევებში, რისკს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

წყალარინების სისტემა ფუნქციონირებს 41 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, ხოლო 30 მათგანში აშენებულია საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობები, რომელთა მთლიანი საპროექტო სიმძლავრეა 1,6 მლნ. კუბური მეტრი დღე-ღამეში (მათ შორის რეგიონალური გამწმენდი ნაგებობები გარდაბნის რაიონში, სიმძლავრით 1,0 მლნ. კუბური მეტრი დღე-ღამეში, რომლებიც დღეისათვის ემსახურებიან ქალაქებს: თბილისსა და რუსთავს).

საქართველოს წყალდინების და წყალგამანაწილებელი ქსელების საერთო სიგრძე 9,5 ათას კმ-ს შეადგენს, ხოლო საკანალიზაციო ქსელებისა და კოლექტორების – 4,0 ათას კმ-ს. სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა ბევრი წყალსადენის წყალმიმღები ნაგებობებისა და ქსელების არაადაქმაცყოფილებელია, რაც დასტურდება კიდევაც წყლისმიერი დაავადებების ხშირი გამოვლინებებით. დღეისათვის სათავე ნაგებობების უმეტესობაზე არ არსებობს ან შესაკეთებელია სანიტარული დაცული მონების შემოღობვა, 60% წყალსადენების და 50% საკანალიზაციო ქსელების და კოლექტორების უმრავლესობას გასული აქვს ექსპლოატაციის ვადა.

წყალკანალების უმეტესობაზე, დიდი ხნის განმავლობაში არ ჩაგარებულა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. შედეგად, ავარიები წყალმომარაგებისა და წყალსარინ სისტემებში საკმაოდ გახშირდა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სასმელი წყლის დანაკარგები და წყლის დაბინძურება. საშუალოდ, ქვეყანაში წყლის დანაკარგები აღწევს 30–50% ქსელში მიწოდებული წყლის საერთო მოცულობიდან. საქართველოს დასახლებული პუნქტების უმრავლესობა სასმელ წყალს არარეგულარულად იღებს; არ არსებობს ზუსტი აღრიცხვა წარმოებული და მოხმარებული წყლის ოდენობისა. მდგომარეობა მძიმდება იმით, რომ წყლის ხარისხზე ლაბორატორიული კონტროლი არ გარდება სრული მოცულობით, შედეგად წყალი, რომელიც მიეწოდება მომხმარებელს ხშირად არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს.

საქართველოში წყალმომარაგების თავისებურებაა ის, რომ მიწოდებული წყლის დიდი ნაწილი მიწისქვეშა წყაროებზე მოდის, რისთვისაც დამახასიათებელია წყლის სტაბილური მიწოდება და მაღალი ხარისხი, რომელიც წყლის აღების ადგილას ორგანოლეპტიკური, ქიმიური, გოქსიკოლოგიური და მიკრობიოლოგიური მახასიათებლებით ძირითადად შეესაბამება როგორც ეროვნული, ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ ნორმატივებს.

სუფთა წყლის გამოყენება (მლნ. მ³)

	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
წყლის აღება წყლის ბუნებრივი ობიექტებიდან	2517	2010	16773 ¹⁾	32059 ¹⁾	25663 ¹⁾	19046 ¹⁾	48786 ¹⁾
მათ შორის მიწისქვეშა ობიექტებიდან	415	400	437	547	1237	520	549
გამოყენებული წყალი – სულ	1083	779	15525 ¹⁾	30869 ¹⁾	24705 ¹⁾	18704 ¹⁾	48374 ¹⁾
მათ შორის საჭიროებისათვის:							
საყოფაცხოვრებო-სამეურნეო	359	346	374	379	395	368	358
საწარმოო	185	151	151	253	165	193	208
სარწყავი და სხვა სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება	326	211	284	131	225	178	106
სხვა	213	71	14716 ¹⁾	30106 ¹⁾	23920 ¹⁾	17965 ¹⁾	47702 ¹⁾

¹⁾ ელექტროსადგურების მიერ გამოყენებული წყლის ჩათვლით.

საქართველოს მიწისქვეშა წყაროებიდან აღებული წყალი მიეწოდება ქსელს გაწმენდის გარეშე, თუმცა დიდი ქალაქების უმრავლესობაში გამოიყენება დემინფექციაც. პაგარა და სამუშალო დასახლებულ პუნქტებში, სხვადასხვა მიზეზებით, ძირითადად ქლორის შესყიდვასა ან ქლორის მეურნეობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ტექნიკური სირთულეების გამო მიწოდებული წყლის დემინფექცია არ ხდება ან ხორციელდება სემონურად. თუმცა ადგილი აქვს წყლის აღებას ზედაპირული წყაროებიდანაც (თბილისი, ბათუმი, ბორჯომი), სადაც წყლის ხარისხი გაცილებით დაბალია, რაც მოითხოვს წყლის გაწმენდას და დემინფექციის გამოყენებას.

საკმაოდ ხშირი პრაქტიკაა მომხმარებლებისათვის წყლის მიწოდება პირდაპირ ჭაბურღილებიდან (პაგარა დასახლებულ პუნქტებში) ან უშუალოდ მეორე რიგის საგუმბი სადგურების გავლის შემდეგ, ამის გამო არსებობს არამდგრადი და არაეფექტური წყალმომარაგება, და თუ არ არსებობს ქსელის მონირება, კონგრ-რემბერვუარები და წყალსაქჩაი სადგურები - ეს იწვევს მომსახურების დაბალ დონეს.

ამორტიზებული წყალგამანაწილებელი ქსელების რეკონსტრუქციის ან მათი შეცვლის სამუშაოების სათანადო დონეზე დაუფინანსებლობა იწვევს წყლის დიდ დანაკარგს. წყლის დანაკარგი და აღურიცხავი წყლის ოდენობა უახლოვდება მიწოდებული წყლის საერთო მოცულობის 50-60%-ს. ეს მაჩვენებელი 4-5-ჯერ აღემატება «ნორმალური დანაკარგების» ზღვარს, რომელიც დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის სწორედ ექსპლოატირებულ და ჰიდრაულიკურად გამართული ქსელისათვის და 1,5-2 ჯერ აღემატება წყალმომარაგების სისტემის დანაკარგებს, რაც დაფიქსირებულია ღს-ს ბევრ ქალაქში.

შენობების შიდა ქსელების ცუდი მდგომარეობა ასევე იმსახურებს სათანადო ყურადღებას, რადგან სახეზეა საყოველთაო წყლის გადახარჯვები, მათ შორის ჩამკეტი და სანიტარული არმაგურის ნაკლები სიმჭიდროვის გამო, რაც იწვევს სისტემაში წნევის დაწევას. წყალი, რომელიც მიეწოდება მომხმარებლებს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემებიდან, ხშირად არ შეესაბამება მიკრობიოლოგიურ და სხვა სტანდარტებს, ანუ სახეზეა სერიოზული პრობლემები სასმელი წყლის გრასპოტირებისა წყლის წყაროსგან ან წყლის მომზადებისა სადგურიდან მომხმარებლამდე.

წყლის ხარისხის თანდათანობითი გაუარესება, მას შემდეგ რაც იზრდება მანძილი სათაო ნაგებობიდან საბოლოო მომხმარებლამდე, განსაკუთრებით იგრძნობა დიდ ქალაქებში. ამის მთავარი მიზეზია წყალგაყვანილობის ქსელის არაადაპტაციული მდგომარეობა - მიღების მნიშვნელოვანი ამორტიზება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ დიდ ქალაქებში წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ზედაპირულ წყლებზე (წყაროებზე), რომლებიც თავისთავად უკვე დაბინძურებულია, რადგან ბევრ ქალაქში ჩამდინარე წყლების გაწმენდი სისტემები არ არსებობს. იმ შემთხვევაში, როცა არასკმარისია მდინარეების და სხვა წყაროების თვითგაწმენდის საშუალებები – პირველ ადგილას დგება სათავე ნაგებობებზე წყლის ხარისხიანი მომზადების საკითხი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს დემინფექცია, რათა მოხერხდეს წყლის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების შენარჩუნება სათანადო დონეზე.

ჩამდინარე წყლის ჩაშვება ბუნებრივი ზედაპირული წყლის ობიექტებში (მლნ. მ³)

	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
ჩამდინარე წყლის ჩაშვება ზედაპირულ წყალსატევებში – სულ	435	398	14702 ¹⁾	30372 ¹⁾	24174 ¹⁾	17820 ¹⁾	47732 ¹⁾
მათ შორის:							
დაბინძურებული	53	394	389	408	415	360	517
ნორმატიულად სუფთა (გაწმენდის გარეშე)	125	2	14307	29963	23754	17453	47206
ნორმატიულად გაწმენდილი	257	2	6	1	6	7	9

¹⁾ ელექტროსადგურების მიერ გამოყენებული წყლის ჩათვლით.

წლიდან წლამდე შენარჩუნებული წყალსადენების სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუარესების გენდენციამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია მოსახლეობის ჯანრმთელობაზე. სანიტარული სტაგისტიკა მოწმობს, რომ აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება, მათ შორის წყალსადენების რეაბილიტაცია და ქსელში მიწოდებული სასმელი წყლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

4. წყლის გამწმენდი ნაგებობების პრობლემები

წყალსარინების სისტემა ფუნქციონირებს საქართველოს 41 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, ხოლო 30 მათგანში აშენებულია კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები საერთო საპროექტო სიმძლავრით 1,6 მლნ. კუბური მეტრი დღე-ღამეში (მათ შორის, გარდაბნის რეგიონული გამწმენდი ნაგებობები, სიმძლავრით 1,0 მლნ. კუბური მეტრი/დღე-ღამეში, რომლებიც ემსახურებიან ქ. ქ. თბილისსა და რუსთავს). ყველა გამწმენდი ნაგებობა დაპროექტებული იყო ჩამდინარე წყლების მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდისათვის. საკანალიზაციო ქსელებისა და კოლექტორების მთლიანი სიგრძე შეადგენს 40 ათას კილომეტრს.

ჩამდინარე წყლები, ქალაქების ცენტრალური წყალსარინების სისტემების მეშვეობით, რელიეფის თავისებურებების წყალობით თვითდინებით მიეწოდება გამწმენდ ნაგებობებს. არსებული მომენგისათვის არცერთ გამწმენდ ნაგებობას არ შეუძლია საპროექტო ხარისხის შესაბამისად, უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა. წყლის ბიოლოგიური გაწმენდა არ ფუნქციონირებს არცერთ ქალაქში. უკეთეს შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ მექანიკური გაწმენდა.

ამორტიგებული და არადაამაკმაყოფილებელი სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის გამო, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს, შეკეთებასა და განახლებას. ქვეყნის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში არსებული საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობების ხანდაზმულობა განისაზღვრება 30-40 (და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მეტი) წლით, ხოლო ზოგიერთი მათგანის მშენებლობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და დაკონსერვებულია. 19 ნაგებობა განთავსებულია შავი ზღვის აუზში, ხოლო 14 - კასპიის ზღვის აუზში, მ.შ. ბიოლოგიური გაწმენდით 18 ნაგებობაა, ხოლო მექანიკური გაწმენდით კი - 15 ნაგებობა.

ის ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც ყველა საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობა ფუნქციონირებს უკვე მოძველებულია და აღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, განსაკუთრებით ეს ეხება ლამების დამუშავებას. გარდა ამისა, გაწმენდის არსებული ტექნოლოგია გათვლილი იყო პრაქტიკულად უფასო ელექტროენერჯიაზე და ბუნებრივ გამზღვ.

ენერგეტიკულმა კრიზისმა, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ელექტროენერჯიაზე გარიფების მნიშვნელოვანმა ზრდამ, რომელიც მოყვა ამ პროცესს, საკმაოდ ნეგატიური გავლენა მოახდინა საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობების მუშაობაზე. შეწყდა გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესები, დაიღუპნენ ის მიკროორგანიზმები, რომლებიც გამოიყენებოდნენ ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გაწმენდისათვის, გაიბიდნენ მილსადენები და არხები.

საკმაოდ არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება ქინვალი-თბილისის საკანალიზაციო კოლექტორი, რომელიც თბილისის წყალმომარაგების არაგვის ხეობის სათავე ნაგებობათა სანიტარიული დაცვის პირველ და მეორე ზონებში გადის. ანალოგიურ მდგომარეობაშია ქობულეთი-ობურგეთი-ურეკის საკანალიზაციო სისტემაც.

მედაპირული წყლის ობიექტებში 2004 წელს, 2000 წელთან შედარებით, ჩაშვებული იყო 44,8-ჯერ მეტი ჩამდინარე წყალი, რამაც შეადგინა 17820 მლნ.მ3, მათ შორის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებული 360 მლნ.მ3 (2003 წელს ეს მონაცემი შეადგენდა 415 მლნ.მ3), 17453 მლნ.მ3 ნორმატიულად სუფთა (გაწმენდის გარეშე) და 7,0 მლნ.მ3 ნორმატიულად გაწმენდილი.

მემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა ძალზე აქტუალურია ქვეყნისათვის, რადგან არსებული მონაცემები და ფრაგმენტულად ჩაგარებული ცალკეული გამოკვლევები მიუთითებენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არსებული მედაპირული წყლების ქიმიურ და ბაქტერიულ დაბინძურებაზე, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დიდი მდინარეების შემავსებელ მცირე მდინარეებსაც. მაგალითად თბილისის მცირე მდინარეებს მდ. მგკვარში ყოველწლიურად ჩააქვთ საშუალოდ 50 ტონა ნავთობპროდუქტი, 100 ტონამდე შეწონილი ნაწილაკები, ათობით ტონა ლითონი: სპილენძი, რკინა, თუთია, ქრომი და სხვ.

5. წყალმომარაგების სისტემები და წყლის ხარისხი

საქართველოში არსებული წყალსადენების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია, მათი 60% ამორტიზებულია. 1987 წლის შემდეგ წყალსადენების ქსელში არ ჩაგარებულა მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო და შესაკეთებელი სამუშაოები, რის გამოც წყალსადენების მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელების 9273,9 კმ-დან 50%-ზე მეტი საჭიროებს გამოცვლას, კაპიტალურ და/ან მიმდინარე შეკეთებას. ამას ემატება სატუმბო სადგურების აღჭურვილობისა და დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა. არსებული წყალსადენების 69%-ს არ გააჩნია წყლის გასაუვნებელი დანადგარები, 28%-ს - სანიტარიული დაცვის ზონები, ხოლო 23%-ს - ნელლი წყლის დასამუშავებელი აუცილებელი გამწმენდი ნაგებობები. სათავე ნაგებობებზე არასრულად ხორციელდება წყლის მომზადების სქემები, წყალგამწმენდი ნაგებობები ტექნიკურად გაუმართავია, განიცდიან საფილტრაციო მასალების, მოწყობილობებისა და წყლის მომზადებისათვის აუცილებელი ქიმიური რეაგენტების დეფიციტს. 70%-ზე მეტ წყალსადენებზე საქლორაგორი არ არსებობს და/ან მწყობრიდან გამოსვლის გამო არ ხდებოდა სასმელი წყლის სისტემატური დაქლორვა. შეფერხებულია წყლის მომზადების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა.

აღნიშნულის გამო, მოსახლეობის დიდ ნაწილს სასმელი წყალი მიეწოდებოდა დაუქლორავი და დაღვნილი გრაფიკების უხეში დარღვევებით, რომელიც არ შეესაბამებოდა სახელმწიფო

სგანდარგის მოთხოვნებს, რაც წყლისმიერი ინფექციური დაავადებების გავრცელების მთავარი მიზეზი ხდებოდა.

ამას ემატებოდა ისიც, რომ ქვეყნის ქალაქებისა და რაიონების წყალსადენების საუწყებო ლაბორატორიების დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლის ხარისხის კონტროლისათვის აუცილებელი მოწყობილობებითა და ქიმიური რეაქტივებით. მოგიერთ რაიონში კი, სადაც ფუნქციონირებს ლაბორატორიები, ელექტროენერჯის დეფიციტის გამო არ გარდება წყლის გამოკვლევა სანიტარიულ-მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე.

ანალოგიური არადაამაკმაყოფილებელი სანიტარიულ-გექნიკური მდგომარეობა აღინიშნება სოფლის მცირე სიმძლავრის წყალსადენებზეც. აღნიშნულ სისტემებზე უკანასკნელი წლების განმავლობაში არ ჩატარებულა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები (ეს სამუშაოები დაიწყო ზოგან 2004 წლიდან), რის გამოც ამ სისტემების უდიდესი ნაწილი არ ფუნქციონირებდა, ხოლო მათი სათავე ნაგებობები არ არის სათანადოდ დაცული. სოფლის წყალმომარაგების სისტემებისა და წყლის დეზინფექცია, როგორც წესი, არ წარმოებს.

2001 წლის აგვისტოში საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განისაზღვრა საქართველოში სასმელი წყლის სგანდარგები, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს საბჭოთა ნორმატივების ადაპტირებულ ვარიანტს. ქვეყნის მოსახლეობისათვის ცენტრალიზებული წყალსადენის სისტემებით მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხზე ჩატარებული გამოკვლევები მიუთითებენ, რომ 1997-2004 წლებში მოსახლეობისათვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი არცთუ იშვიათ შემთხვევაში არ აკმაყოფილებდა სახელმწიფო სგანდარგის მოთხოვნებს.

სინჯების დაახლოებით 18% და 24%, რომლებიც ალებულ იქნა ცენტრალური წყალმომარაგების სისტემებიდან შესაბამისად 2000 და 2001 წლებში (სამწუხაროდ სხვა წლების მონაცემები არ არსებობს) არ შეესაბამებოდა დადგენილ ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ ნორმებს. ცამეტი ქალაქიდან ალებული სინჯების მიხედვით, მიკრობიოლოგიური ნორმები ალებულ სინჯებში დასაშვებ ნორმას 50%-ით ან მეტითაც აჭარბებდა.

ამგვარი საგანგაშო ვითარების შედეგი იყო წყლისმიერი ინფექციური დაავადებების შემთხვევათა რიცხვის მაჩვენებლების ზრდა. მაგალითად, ქ. რუსთავში 1997-98 წლებში დაფიქსირდა წყლისმიერი დაავადების გამოვლენის 1902 შემთხვევა, 2000 წელს კი 450 შემთხვევა. წყლისმიერი დაავადებების გამოვლენა დაფიქსირდა ასევე სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, ქობულეთში 1997-98 წლებში - 3582 შემთხვევა, ხაშურში - 244 შემთხვევა, ბორჯომში - 294 შემთხვევა, ხოლო ფოთში 2000 წელს - 267 შემთხვევა.

1997 წლიდან მოყოლებული 2001 წლის ჩათვლით თბილისშიც ყოველწლიურად ფიქსირდებოდა წყლისმიერი დაავადებების შემთხვევები (მთლიანობაში 2423 შემთხვევა). შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა აზრით, მსგავსი დაავადებების შემთხვევათა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ოფიციალურადაა დაფიქსირებული, ვინაიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კლინიკაში არ დადის და შესაბამისად დაავადების რიცხვიც აღურიცხავი რჩება.

ამ წლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების მაჩვენებლებზე ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემებიდან კონტროლისათვის ყოველწლიურად ალებული ნიმუშების რაოდენობა მერყეობდა 38689-დან 51000-მდე, მათ შორის სანიტარიულ-ქიმიური გამოკვლევებისათვის - 20583-დან 29057-მდე, სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური გამოკვლევებისათვის კი - 18106-დან 23799-მდე.

ანალოგიური შედეგები დაფიქსირდა სასმელად გამოყენებული წყაროს წყლების გამოკვლევის შედეგად. 2000 წელს (შემდგომი წლების მონაცემები არ არის) საქართველოს 30 ქალაქსა და

რაიონიდან მოსახლეობის მიერ სასმელად გამოყენებული წყაროს წყლების გამოკვლევებისათვის აღებული 645 ნიმუშიდან და ჩაგარებული 1181 ანალიზიდან, ნიმუშების 44,6% სანიტარიულ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით, ხოლო 33,8% კი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით არ შეესაბამებოდა ქვეყანაში მოქმედ ჰიგიენურ ნორმატივებს. ჩაგარებული ანალიზის საერთო შედეგების მიხედვით 35,8% არ აკმაყოფილებდა ჰიგიენურ მოთხოვნებს.

ქალაქებსა და რაიონებში სასმელად გამოყენებული წყაროების (რომელთა წყლებმაც ჩაგარდა გამოკვლევები) წყლების სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიურ მაჩვენებლებზე ჩაგარებული გამოკვლევების შედეგების მიხედვით, 63,3% წყაროს წყლებისა არ პასუხობდა ჰიგიენური ნორმატივების მოთხოვნებს.

ჩაგარებული გამოკვლევების შედეგების მიხედვით, განსაკუთრებით მაღალი იყო წყაროს წყლების დაბინძურების მაჩვენებლები ბაღდათის (24,3%), ლანჩხუთის (29,0%), წალენჯიხის (37,5%), ხაშურის (41,5%), საგარეჯოს (41,7%), ქუთაისის (33,3%), მცხეთის (60,0%), ვანის (62,1%), ახალქალაქის (66,7%), საჩხერის (66,7%), ქარელის (81,8%), ზესტაფონის (86,5%), გორის (100,0%), ჭიათურის (100,0%), გარდაბნის (100,0%) რაიონებში.

მთლიანობაში ნორმატიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მაჩვენებელი მერყეობდა ამ წლებში საანალიზოდ აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 16,7-დან 20,7%-მდე. სანიტარიულ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით, ნორმატიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მაჩვენებელი მერყეობდა 17,3-დან 22,8%-მდე, ხოლო სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, ნორმატიულ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა საანალიზოდ აღებული ნიმუშების საერთო რაოდენობის 15,4-დან 21,2%-მდე.

6. მომხმარებელთა უფლებები და წყლის ტარიფი

საქართველოში წყლის ძირითადი მომხმარებლებს შეადგენენ მოსახლეობა, საბიუჯეტო ორგანიზაციები, კომუნალური დაწესებულებები, სამეურნეო ორგანიზაციები და კერძო სექტორი.

საქართველოს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტები და წყალსადენისა და საკანალიზაციო მეურნეობის ძირითადი ფონდები, როგორც წესი იმყოფებიან მუნიციპალურ საკუთრებაში, ხოლო ფუნქციები, ვალდებულებები, უფლებები და ურთიერთობები წყალმომარაგებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებსა და აბონენტებს შორის, რომლებიც ქმნიან ამ ურთიერთობების საფუძველს, რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე.

დღევანდელი მონაცემებით წყალმომარაგებასა და წყალსარინების მომსახურებაზე გარიფების გაანგარიშებისა და დამტკიცების მეთოდოლოგია არ არსებობს.

წყალმომარაგების აღრიცხვის მოწყობილობების არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელს გადასახადი ერიცხება წყალმომარაგების დროებითი ნორმების საფუძველზე. მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის შ.პ.ს. "თბილისის წყალს" მომხმარებლის ნორმატივად დაწესებული აქვს 800 ლიტრი/აღამიანი/დღე-ღამეში, ხოლო სხვა ქალაქების საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ეს ნორმატივი მერყეობს 60-500 ლიტრი/აღამიანი/დღე-ღამეში.

ახალი გარიფის დამტკიცება ხდება შემდეგნაირად: წყალსადენ-კანალიზაციის საწარმოს მოჰყავს არგუმენტები გარიფის შეცვლის სასარგებლოდ, ითვალისწინებს რა ბაზრის კონიუნქტურასა და სექტორის მოთხოვნილების ცვლილებას და აწვდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას მასალას, სადაც ხდება მათი განხილვა შესაბამისი სამსახურების მიერ. გარიფში შეაქვთ ცვლილება და

მისი საბოლოო ვერსია განსახილველად გადაეცემა საკანონმდებლო ორგანოს ან ქალაქის/მუნიციპალიტეტს განსახილველად და დასამტკიცებლად. თავის მხრივ მუნიციპალურ ადმინისტრაციაში იქმნება სპეციალური საექსპერტო კომისია და მათი დასკვნის საფუძველზე მტკიცდება ახალი ტარიფი; შემდეგ ხდება ახალი ტარიფის რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში და ინფორმაცია ამის შესახებ ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში.

შპს “თბილისის წყალმა” 2007 წლის გაზაფხულიდან დაიწყო საცხოვრებელი კორპუსების გამრიცხველიანება (საერთო მრიცხველების დამონტაჟება) და საცხოვრებელ კორპუსებში სულალობის მოწესრიგება. ვაშლიჯვარი წარმოადგენს თბილისის ერთ-ერთ პირველ უბანს, სადაც საერთო მრიცხველები სრულად დამონტაჟდა. ასევე მოწესრიგდა საცხოვრებელ კორპუსებში მაცხოვრებელთა რეალური რაოდენობა¹.

დღევანდელი მონაცემებით, ქ. თბილისში ფიქსირებული წყლის ტარიფი მოსახლეობისათვის შეადგენს 2,40 ლარს ერთ სულზე, მას შემდეგ რაც ქ. თბილისისათვის საკრებულოს გადაწყვეტილებით გაორმაგდა წყლის ფიქსირებული ტარიფი 2007 წლის 1 იანვრიდან.

ვაშლიჯვრის დასახლებაში ჩაგარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ვაშლიჯვრის დასახლებაში საცხოვრებელი კორპუსების მიერ მოხმარებულმა წყლის ოდენობამ 2007 წლის მაისის ბოლოს შეადგინა ფიქსირებულ გადასახადზე საკმაოდ ნაკლები. ჩვენს მიერ ჩაგარებული კვლევის თანახმად, ვაშლიჯვრის დასახლების 7ბ კორპუსის მიერ 2007 წლის მაისის თვის საერთო მრიცხველის მიერ ნაჩვენები მონაცემების მიხედვით, გადასახადმა ერთ სულზე შეადგინა 1.99 ლარი ანუ ფიქსირებულ გადასახადზე (2.40 ლარი) გაცილებით ნაკლები.

მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის ივნისის თვიდან თანხის დარიცხვა უნდა მომხდარიყო უკვე საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მოსახლეობის დაზუსტებული რაოდენობის შესაბამისად და საცხოვრებელ კორპუსებში დამონტაჟებული წყლის საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით, დღემდე ვაშლიჯვრის მოსახლეობა, მათ შორის 7ბ კორპუსის მაცხოვრებლები, იხდიან კვლავაც ფიქსირებულ 2.40 ლარს ერთ სულზე და არა მრიცხველის მიერ დაწერილი ჩვენების მიხედვით, რაც წარმოადგენს მათი უფლებების სერიოზულ დარღვევას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფიქსირებული გადასახადი მოდის უკვე მოსახლეობის კორექტირებული სიების შესაბამისად და არა ძველი სიების მიხედვით, რაც პირდაპირ მიუთითებს კომპანიის მხრიდან მიზანმიმართულად ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევაზე და იწვევს მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას.

7. წყლის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების აღწერა საქართველოში

7.1 ქობულეთის წყალმომარაგების პროექტი

20.35 მილიონი ევროს ღირებულების ქობულეთის წყალმომარაგების პროექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში შეგანილ იქნა 2007 წლის აპრილში, რომლის მიზანსაც ქობულეთში წყალმომარაგების სისტემისა და ნარჩენი წყლების გამწმენდი სამსახურების რეაბილიტაცია წარმოადგენდა.

საინვესტიციო პროგრამა გულისხმობდა წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციას და ნარჩენი წყლების გაწმენდის სამსახურების გადაიარაღებას. პროექტი ასევე ითვალისწინებდა ყველა მომხმარებლის გამრიცხველიანებას, კომპანიის ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესების პროგრამას და ქალაქის მმართველობის მხარდაჭერას.

¹ თვით მოსახლეობის მიერ იქნა დადგენილი კორპუსში მცხოვრები მოსახლეობის სრული სია და მიწოდებულ იქნა კომპანიისათვის;

აღნიშნული პროექტის დაფინანსებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან ნავარაუდები იყო 1,5 მილიონი ევროს სესხის გამოყოფა ქობულეთის წყალმომარაგების კომპანიისათვის სახელმწიფო გარანტიით. გარდა აღნიშნული სესხისა იგეგმებოდა პროექტის დაფინანსება გრანტების სახით შემდეგი წყაროებიდან: ათასწლეულის გამოწვევა საქართველოსთვის (აშშ) 5.55 მილიონი ევრო, ჰოლანდიის ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო 5.28 მილიონი ევრო, მსოფლიო ბანკი, გლობალური გარემოსდაცვითი მექანიზმი 3 მილიონი ევრო და ადგილობრივი მონაწილეობა – 3.62 მილიონი ევრო.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ღირებულებითა საბჭოთა აღნიშნული პროექტის დამტკიცება უნდა მომხდარიყო 2007 წლის 10 ივლისს, აღნიშნულ პროექტის მიმდინარე სტატუსი კვლავაც გაურკვეველი რჩება სამოგალოებისათვის.

7.2. ქუთაისის წყალმომარაგების პროექტი²

11 მილიონ ევროდ ღირებული პროექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2006 წლის 11 ივლისს. აღნიშნული პროექტის მიზანს წყლის მიწოდების სისტემების რეაბილიტაცია, მოსახლეობის 100%-იანი გამრიცხველიანება და წყლის კომპანიის ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

პროექტის დაფინანსებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან ნავარაუდები იყო სახელმწიფო გარანტიით 3 მილიონ ევროზე მეტის გამოყოფა ქუთაისის წყლის კომპანიისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროექტი დამტკიცდა და ხელი მოეწერა ბანკის მიერ ღვედვით კვლავაც გაურკვეველი რჩება აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგები სამოგალოებისათვის.

7.3. ფოთის წყალმომარაგების პროექტი³

პროექტის ღირებულებაა 8 მილიონი ევრო. ხელეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის ხელი მოეწერა 2006 წლის 11 ივლისს. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა წყლის კომპანიის კომერციალიზაციას, ახალ საგარიფო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც გარკვეულწილად წყლის ეფექტურად მოხმარების სტიმული უნდა ყოფილიყო მოსახლეობისათვის.

აღნიშნული პროექტის დაფინანსებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან ნავარაუდებია 3,5 მილიონი ევროს გამოყოფა, ქალაქის ბიუჯეტიდან 1 მილიონი ევროს გამოყოფა და 3,54 მილიონი ევროს გრანტის გამოყოფა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გრანტის კომპონენტი საჭიროა მოსახლეობისათვის წყლის გარიფის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

7.4 თბილისის წყლის მიწოდების პროექტი⁴

2007 წლის აპრილში შპს “თბილისის წყალმა”⁵, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში შეიგანა 25 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი⁶. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა საცხოვრებელ კორპუსებზე საერთო მრიცხველების დამონტაჟებასა და წყლის სექტორის მართვის მიზნით, კომპანიისთვის კერძო სამართლის სამოგალოებრივი პარტნიორობის განვითარებას. მიუხედავად სამოგალოების მხრიდან მძლავრი წინააღმდეგობისა, რაც დაკავშირებული იყო გამჭირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების

² <http://www.ebrd.com/projects/psd/psd2006/36491.htm>

³ <http://www.ebrd.com/projects/psd/psd2005/35601.htm>

⁴ <http://www.ebrd.com/projects/psd/psd2007/37321.htm>

⁵ შპს “თბილისის წყალი” და მასთან დაკავშირებული აქტივები თბილისის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში შედის;

⁶ <http://www.ebrd.com/projects/psd/psd2007/37321.htm>

პროცესში სამოგადოების მონაწილეობის უგულვებელყოფასთან, აღნიშნული პროექტი 2007 წლის 10 ივლისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მაინც დამტკიცდა. წყლის სექტორში მიმდინარე პროცესები კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა მას შემდეგ, რაც ამავე წლის აგვისტოში თბილისის მერიისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ თბილისის წყალმომარაგების სისტემა მოულოდნელად შეგანილი იქნა საპრივატიზაციო ნუსხაში⁷.

7.4.1. გამჭირვალობა და სამოგადოების მონაწილეობა

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ გაკეთებული მე-15 ზოგადი კომენტარის 48 მუხლი⁸ ითვალისწინებს წყლის სექტორში მიმდინარე რეფორმების ირგვლივ არსებული ინფორმაციის გამჭირვალობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოგადოების მონაწილეობას. მიუხედავად ასოციაცია მწვანე ალტერნატივის მიერ შპს. “თბილისის წყალი“-დან, თბილისის მუნიციპალიტეტიდან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მრავალჯერადი მოთხოვნისა, სამოგადოებისათვის მხოლოდ პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება გახდა ხელმისაწვდომი, ისიც მხოლოდ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ. გარდა ამისა, არც პროექტის სამოგადოებრივი განხილვა მოწყობილა, რაც ასევე წარმოადგენს გაეროს აღნიშნული კონვენციის უხეშ დარღვევას.

პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების მიხედვით, ქ. თბილისის სრული საკრედიტო ანალიზი⁹, რომელიც უნდა ყოფილიყო პროექტის დამტკიცების ერთ-ერთი საფუძველი, საერთაშორისო საბუღალტრო კომპანიას უნდა მოემზადებინა. მიუხედავად ამისა, სამოგადოებისათვის დღემდე უცნობი რჩება მომზადდა, თუ არა საერთოდ აღნიშნული ანალიზი.

სამოგადოებისათვის ასევე უცნობია, რაგომ მიიღო სახელმწიფომ მომგებიანი საწარმოს პრივატიზების გადაწყვეტილება. იმ დროს როცა ქვეყანაში არ არსებობს არანაირი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებდა წყალთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა წყლის გარიფის რეგულირება, და ა.შ. ეს შეიძლება აღმოჩნდეს წყლის სექტორში დაგეგმილი რეფორმების განხორციელების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, რასაც უარყოფითი ასახვა ექნება თბილისის მოსახლეობაზე.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის მოკლე ანოტაციაში აღნიშნულია, რომ პროექტის დამტკიცებამდე უნდა მომზადებულიყო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, სადაც აღწერილი იქნებოდა კომპანიის საქმიანობის სრული ფინანსური, ეკონომიკური, ტექნიკური, გარემოსდაცვითი და დაგეგმილი ინვესტიციების მიმოხილვა და ასევე უნდა მომხდარიყო კომპანიის ანგარიშების აუდიტი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ პროექტი ისე იქნა დამტკიცებული, რომ არც ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი და არც კომპანიის ანგარიშების აუდიტი არ ჩატარებულა. ერთადერთი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ბანკმა პროექტის დამტკიცების დროს იმსჯელა, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება იყო¹⁰.

7.4.2. გამრიცხველიანებასთან დაკავშირებული პრობლემები

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში შეგანილი თბილისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის ერთ-ერთ მიზანს საცხოვრებელ კორპუსებში საერთო მრიცხველების დამონტაჟება წარმოადგენს, რაც გულისხმობს იმას, რომ საერთო მრიცხველის

⁷ <http://www.economy.ge/geo/main.php?news=128>

⁸ <http://www.law.wits.ac.za/humanrts/gencomm/escgencom15.htm> წყალზე უფლება, პარაგრაფი 48;

⁹ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, 12 თავი, გვ. 122;

¹⁰ პოლ კოვენდენი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის უფროსი ბანკირი, მინიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა;

ჩვენების შესაბამისად, საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლებმა გადასახადი უნდა გადაიხადონ სულადობის მიხედვით.

გარდა ამისა საინტერესოა, პროექტში არსებული ინდივიდუალურ მრიცხველების დამონტაჟებასთან არსებული მიდგომა. პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების თანახმად, ინდივიდუალური მრიცხველების დაყენება არ შედის კომპანიის ვალდებულებებში და საერთო მრიცხველების დაყენება ერთადერთი ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია, ვინაიდან ინდივიდუალური გამრიცხველიანება საკმაოდ ძვირი დაუჯდებოდა მოსახლეობას. “კომპანია უნდა ათვისებდეს, რომ მისი პასუხისმგებლობა სრულდება სხვისი საკუთრების საზღვარზე და შესაბამისად, ის არ არის პასუხისმგებელი საცხოვრებელი კორპუსში არსებულ წყალსადენებზე”¹¹.

მართალია, წყლის კომპანია არ არის ვალდებული საცხოვრებელ კორპუსში არსებული წყალსადენები უფასოდ შეაკეთოს, თუმცა გაურკვეველია, მაშინ ვის მიერ უნდა იქნეს შეკეთებული დაზიანებული მილები და ვინ უნდა აიღოს მილების შეკეთების ხარისხზე პასუხისმგებლობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წყლის მაღალი დანახარჯი საცხოვრებელი კორპუსების შიდა ქსელებისა და სველი წერტილების მოუწესრიგებლობამ განაპირობა, ამკარაა, რომ შიდა ქსელების ხარისხიანი შეკეთება საკმაოდ მნიშვნელოვანი დადებითი გარემოსდაცვითი ეფექტის მიღწევისათვის.

რაც შეეხება მრიცხველებს, ამ შემთხვევაში, სიტუაცია განსხვავებულია. მომხმარებელიდან წყლის გადასახადების ამოღება კომპანიის ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო გადასახადის ოდენობა მრიცხველის მიერ დაწერილი ჩვენების მიხედვით განისაზღვრება. ამდენად, სწორედ წყლის კომპანიაა ვალდებული, რომ დაამონტაჟოს ინდივიდუალური მრიცხველები. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც საერთო მრიცხველებთან არის დაკავშირებული, იმ მომხმარებლების შესაძლო გათიშვა წარმოადგენს, რომლებიც კეთილსინდისიერად იხდიან გადასახადებს. ეს კი გამოიწვევს მემობლებს შორის დაძაბულობის მრდას.

გარდა ამისა, პროექტის წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკურ დახასიათებაში¹² აღნიშნულია, რომ საშუალოდ თითოეული ბინისთვის საჭიროა 4 მრიცხველის დაყენება, რის გამოც საჭირო იქნებოდა დაახლოებით 1.2 მილიონი მრიცხველის შექმნა. თუმცა გაუგებარია რა საჭიროა ერთ ბინაში 4 მრიცხველის დაყენება, როცა სრულიად საკმარისი იქნებოდა ბინაში შემავალ წყლის ცენტრალურ მილზე დაყენებულიყო მხოლოდ ერთი მრიცხველი.

7.4.3. რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემები

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში არ არსებობს არანაირი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც იქნებოდა პასუხისმგებელი წყლის გარიფის რეგულირებაზე. გაურკვეველია, საერთოდ რა მეთოდოლოგიით ხდება წყლის ფასის დადგენა, ვინაიდან საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არასდროს არ შეიცავს მის ეკონომიკურ დასაბუთებას.

ამასთან, გაუგებარია, რატომ მოხდა ასე ნაჩქარევად ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტის გასხვისების გადაწყვეტილება მიღებული და აგრეთვე ის თუ როგორ აპირებს სახელმწიფო პრივატიზირებულ ობიექტზე ზედამხედველობის გაწევას.

7.4.4. სამართლებრივი პრობლემები

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ თბილისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის დამტკიცების შემდეგ, საკრებულოს ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე თბილისის წყალმომარაგების სისტემა თბილისის მუნიციპალიტეტისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ შეგანილ იქნა

¹¹ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, 9.4.2 თავის, მე-3 პარაგრაფი;

¹² დოკუმენტის 9.4.2 თავის მე-4 პარაგრაფში

საპრივატიზაციო ნუსხაში. აღნიშნული გადაწყვეტილებით დარღვეულ იქნა საქართველოს კანონი “სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ”, რომლის თანახმად, “სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო ნუსხას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო”. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენ ვთვლით, რომ თბილისის წყლის მიწოდების სისტემების გასხვისების მიზნით, ჩასატარებელი ტენდერი უკანონოა.

8. რეკომენდაციები

სექტორში არსებული ზემოთ აღწერილი პრობლემების გათვალისწინებით და წყალმომარაგების სისტემების შესაძლო პრივატიზების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრულფასოვანი ჩართვის უზრუნველყოფით;
- წყლის მართვის სფეროში ჩართულ უწყებებს შორის კომპეგენციათა სწორი და მკაცრი განაწილება;
- საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირება და ჩართვა წყლის სექტორში რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;
- წყალსარინებისა და წყლის მიწოდების სისტემების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს საზოგადოების მონაწილების უზრუნველყოფით;
- დაუშვებელია წყალსარინებისა და წყლის მიწოდების სისტემების საპრივატიზაციო ხელშეკრულებების გასაიდუმლოება.

ბიბლიოგრაფია

- საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი № 100, “გარემოს ობიექტების ხარისხობრივი მდგომარეობა საქართველოში და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი სოციალური პრობლემა”, დეკემბერი, 2006 წელი;
- Development Alternatives Inc. (DAI): Water Management in the South Caucasus; Analytical Report; February 2002;
- საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2006;
- OECD EAP Task Force “Financing Strategy for the Urban Water Supply and Sanitation Sector in Georgia”;
- “წყლის დაბინძურების აღმოფხვრის საკითხები”, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ავტორი: მარინა მაკაროვა
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეროვნული მოხსენება “საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ”. 2005 წელი, თბილისი, 2007

საქართველო, თბილისი, 0162
ყიფშიძის ქ. 5ა. მკ-4 საღარბ. მკ-7 სართ.
ტელ: (+995 32) 221604; ფაქსი: (+995 32) 223874
ელ. ფოსტა: greenalt@wanex.net
ვებ გვერდი: www.greenalt.org

